განკარგულება:**g-31. 31230824**
თარიღი:**23/03/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №19

2023 წლის 23 მარტი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებულ ქუჩას ეწოდოს თამაზ გოგიჩაიშვილის სახელი.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ორი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სოფ ჭინათში თამაზ გოგიჩაიშვილის ქუჩის გეგმა